1953

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 6 (55) 1 სექტემბერი 1953 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

71. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

72. კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

73. კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

74. „სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესები“ 7 მუხლის ცვლილების თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

75. „სასამართლოში შეტანილი სისხლის სამართლის საქმეების წარმართვის წესის შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 3 იანვრის დადგენილების 4 მუხლის ცვლილების თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

76. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. გ. დეკანოზოვისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის ა. ნ. რაფავას მოხსნის თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

77. საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის თაობაზე გამოცემულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

78. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრობის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

79. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ.

80. ლ. პ. ბერიასთვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებათა ჩამორთმევის თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

81. ამხ. ნ. ა. ჯავახიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და მისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

82. ამხ. თ. ნ. ქვლიციძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად არჩევისა და მისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

83. ბრძანებულება საქართველოს სსრ მედიცინის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

84. ბრძანებულება ამხ. მ. ე. თოფურიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად.

85. ბრძანებულება ლ. პ. ბერიასათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებათა ჩამორთმევის შესახებ.

86. ბრძანებულება ა. ნ. რაფავასათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებათა ჩამორთმევის შესახებ.

87. ბრძანებულება შ. ო. წერეთლისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებათა ჩამორთმევის შესახებ.

———

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

71. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი: შემოსავლის ნაწილში—2.692.716 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში—2.692.716 ათასი მანეთი. საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით 1954 წლის 1 იანვრისათვის დამტკიცდეს 80.781 ათასი მანეთი.

2. სახალხო მეურნეობის დაფინანსების ხარჯები საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განისაზღვროს 747.384 ათასი მანეთის ოდენობით და, გარდა ამისა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი სახსრებიდან—546.161 ათასი მანეთი, სულ 1.293.545 ათასი მანეთის საერთო თანხით, რაც ნიშნავს 155.185 ათასი მანეთით გადიდებას 1952 წელთან შედარებით.

3. განისაზღვროს საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1.721.186 ათასი მანეთის საერთო თანხით, რაც ნიშნავს 102.586 ათასი მანეთით გადიდებას 1952 წელთან შედარებით.

ხარჯები ცალკეული სახის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დაწესდეს შემდეგი ოდენობით:

ა) განათლებისა და კულტურის დარგში — საყოველთაო სწავლების დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების, ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური საშუალო სასწავლებლებისათვის; უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის; საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისა, კურსებისა და მუშათა, კოლმეურნეთა და ინჟინერ-ტექნიკოს მომუშავეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა ღონისძიებებისათვის; ბიბლიოთეკების, კულტურის სასახლეებისა და სახლების, კლუბების, თეატრების, ბეჭდვითი სიტყვისა და განათლების და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის 1.076,458 ათასი მანეთის საერთო თანხით, რაც ნიშნავს 1952 წელთან შედარებით 58.325 ათასი მანეთით გადიდებას;

ბ) ჯანმრთელობის დაცვის დარგში — საავადმყოფოების, დისპანსერების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების გაწევის სხვა დაწესებულებებისათვის; სპორტისა და ფიზკულტურის ღონისძიებებისათვის—473.101 ათასი მანეთის საერთო თანხით, რაც 1952 წელთან შედარებით 44.683 ათასი მანეთით გადიდებას ნიშნავს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებების სამედიცინო ხელსაწყოებით, თეთრეულითა და სამეურნეო ინვენტარით უკეთ უზრუნველსაყოფად, დამტკიცდეს ჯანმრთელობის დაცვის 1953 წლის ხარჯების შემადგენლობაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გათვალისწინებული დამატებითი ასიგნებანი 8.259 ათასი მანეთის თანხით, მათ შორის: მედიკამენტებზე ხარჯების გასადიდებლად 200 ათასი მანეთი, საავადმყოფოებისათვის თეთრეულის დამატებით შესაძენად — 3.300 ათასი მანეთი, სამედიცინო და სამეურნეო ინვენტარის შესაძენად —3.000 ათასი მანეთი და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა კაპიტალური რემონტისათვის 750 ათასი მანეთი;

გ) სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის დარგში—ომის ინვალიდებისა და მათი ოჯახებისათვის და ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის დახმარების გასაწევად, შრომის ინვალიდებისა და მათი ოჯახებისათვის პენსიებისა და დახმარების მისაცემად, ინვალიდთა სახლების შესანახად; დროებით შრომისუნარმოკლებულ მუშა-მოსამსახურეთათვის, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის კვებაზე ქალებისათვის დახმარების მისაცემად—171.627 ათასი მანეთი.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სამინისტროების გარდაქმნის, საოლქო დაყოფის გაუქმებისა და სახელმწიფო ხარჯების შესამცირებლად გატარებულ სხვა ღონისძიებების შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სახელმწიფო აპარატის შენახვის ხარჯების შემცირება 27.927 ათასი მანეთის ოდენობით 1952 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ ხარჯებთან შედარებით.

5. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1953 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი—2.265.152 ათასი მანეთი, გასავალი —1.177.307 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების სახსრების გასაძლიერებლად ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან—1.087.845 ათასი მანეთი, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1954 წლის 1 იანვრისათვის 29.842 ათასი მანეთი.

6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1953 წლის ბიუჯეტები შემდეგი თანხებით (ათას მანეთობით):

ეროვნული ბიბლიოთეკა

	შემოსავალი	მათ შორის: ანარიცხები საბელურიდან და ფოლასაგდებიდან შემოსავლიდან	მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სესხების გარდასავალი ნაშთი 1954 წლის 1 იანვრისათვის
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	160.342	119.988	—	160.342	4.809
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	121.107	84.909	—	121.107	3.633
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	63.818	25.611	32.684	63.818	1.914
4. ქალაქი თბილისი	317.479	143.348	—	317.479	6.350
5. ქალაქი ქუთაისი	56.847	32.059	—	56.847	1.136
6. ქალაქი ფოთი	19.728	13.162	—	19.728	591
7. ქალაქი ჭიათურა	10.985	7.347	—	10.985	218
8. ქალაქი რუსთავი	12.153	5.884	—	12.153	242
9. ქალაქი გორი	20.195	13.087	—	20.195	404
10. აბაშის რაიონი	11.689	4.053	6.420	11.689	542
11. ადიგენის რაიონი	8.567	1.243	6.367	8.567	386
12. ამბროლაურის რაიონი	12.038	3.437	5.707	12.038	577
13. ასპინძის რაიონი	6.713	675	5.385	6.713	304
14. ახალქალაქის რაიონი	18.121	3.880	10.608	18.121	814
15. ახალციხის რაიონი	17.181	12.886	—	17.181	559
16. ახმეტის რაიონი	10.677	3.947	6.063	10.677	479
17. ბოგდანოვკის რაიონი	9.187	1.626	6.331	9.187	461
18. ბოლნისის რაიონი	12.099	3.387	7.575	12.099	500
19. ბორჯომის რაიონი	14.018	10.296	—	14.018	450
20. გარდაბნის რაიონი	6.431	1.765	3.698	6.431	278
21. გეგეჭკორის რაიონი	16.466	5.450	9.274	16.466	887
22. გორის რაიონი	16.888	6.956	8.659	16.888	945
23. გურჯაანის რაიონი	15.264	12.090	—	15.264	643
24. დმანისის რაიონი	11.769	2.347	8.823	11.769	627
25. დუშეთის რაიონი	16.714	3.115	12.303	16.714	683
26. ვანის რაიონი	12.026	3.576	7.164	12.026	613
27. ზესტაფონის რაიონი	18.711	15.195	—	18.711	748
28. ზუგდიდის რაიონი	28.599	23.885	—	28.599	1.118
29. თეთრიწყაროს რაიონი	13.592	3.362	8.897	13.592	673
30. თელავის რაიონი	20.377	15.275	—	20.377	683
31. თერჯოლის რაიონი	9.240	2.852	5.247	9.240	443
32. თიანეთის რაიონი	8.040	1.987	5.220	8.040	329
33. კასპის რაიონი	14.131	11.109	—	14.131	620
34. კაპერეთის რაიონი	8.687	2.230	6.056	8.687	387
35. ლაგოდეხის რაიონი	14.199	5.515	6.094	14.199	656
36. ლანჩხუთის რაიონი	12.907	10.320	—	12.907	573
37. ლენტეხის რაიონი	5.866	858	4.628	5.866	248
38. მაიაკოვსკის რაიონი	10.047	3.227	5.752	10.047	479
39. მარნეულის რაიონი	15.930	13.065	—	15.930	727
40. მახარაძის რაიონი	24.055	19.765	—	24.055	963
41. მესტიის რაიონი	7.739	1.577	5.549	7.739	355
42. მცხეთის რაიონი	10.867	3.544	—	10.867	472
43. ონის რაიონი	11.092	2.319	7.987	11.092	441
44. ორჯონიკიძის რაიონი	12.432	2.999	8.647	12.432	572
45. საგარეჯოს რაიონი	11.302	4.282	5.965	11.302	523
46. სამტრედიის რაიონი	18.358	13.475	—	18.358	702
47. საჩხერის რაიონი	10.644	2.902	7.093	10.644	494
48. სიღნაღის რაიონი	16.025	12.811	—	16.025	625
49. ტყიბულის რაიონი	15.034	7.493	4.799	15.034	527
50. ქარელის რაიონი	12.881	11.832	—	12.881	625
51. ქლუბორის რაიონი	8.426	2.371	2.802	8.426	221
52. ქუთაისის რაიონი	10.303	4.416	4.440	10.303	567
53. ყაზბეგის რაიონი	6.122	1.007	4.534	6.122	229

ეროვნული ბიბლიოთეკა

	შემოსავალი	მათ შორის ანარიცხები სახელმწიფო და გადასახადიდან შემოსავლიდან	მათ შორის დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სესხების გარდამავალი ნაშთი 1954 წლის 1 იანვრისათვის
54. ყვარლის რაიონი	10.059	3.617	5.645	10.059	483
55. ჩოხატაურის რაიონი	12.480	4.322	5.739	12.480	579
56. ჩხოროწყუს რაიონი	9.456	3.372	5.320	9.456	492
57. ცაგერის რაიონი	10.709	2.604	6.294	10.709	465
58. ცხაკაიას რაიონი	17.087	13.489	—	17.087	666
59. წალენჯიხის რაიონი	10.185	3.673	5.589	10.185	500
60. წალკის რაიონი	14.044	2.765	8.923	14.044	722
61. წითელწყაროს რაიონი	10.393	5.513	2.439	10.393	368
62. წულუკიძის რაიონი	12.634	3.904	6.680	12.634	501
63. წყალტუბოს რაიონი	8.930	4.136	1.016	8.930	393
64. ჭიათურის რაიონი	9.523	2.540	5.898	9.523	553
65. ხაშურის რაიონი	17.280	13.464	—	17.280	656
66. ხობის რაიონი	10.484	3.627	4.795	10.484	498
67. თბილისის ოლქი	3.961	—	—	3.961	—
68. ქუთაისის ოლქი	4.076	—	—	4.076	—
ს უ ლ	1.515.409	798.816	289.029	1.515.409	50.939

7. დაწესდეს 1953 წლისათვის ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში გადასარიცხად შემდეგი ოდენობით:

ა) მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავლიდან 25%;

ბ) სატყეო შემოსავლიდან 40%;

გ) ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100%;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან, მოსახლეობაში ხელისმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხისა და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

	ანარიცხების პროცენტები					
	მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან	მოსახლეობაში ხელისმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხიდან	ბრუნვის გადასახადიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . .	25	40	40	40	40	20,9
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . .	25	40	40	40	40	16,9
3. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი	25	40	40	40	40	100,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

	ანარიცხების პროცენტები					
	მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სასუქ უცოლილი, ფქვილი, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან	მოსახლეობაში ხელისმოწერით გავრცელებული ბეჭელი სესხის თანხიდან	ბრუნვის გადასახადიდან
4. ქალაქი თბილისი	5	25	15	15	23	4,2
5. ქალაქი ქუთაისი	10	—	—	25	10	8,5
6. ქალაქი ფოთი	25	40	40	40	40	16,0
7. ქალაქი ჭიათურა	25	—	—	40	40	8,2
8. ქალაქი რუსთავი	10	—	—	20	40	19,8
9. ქალაქი გორი	40	—	—	40	40	35,3
10. აბაშის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
11. ადიგენის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
12. ამბროლაურის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
13. ასანიძის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
14. ახალქალაქის რაიონი	25	00	40	40	40	20,7
15. ახალციხის რაიონი	25	40	40	40	40	25,0
16. ახმეტის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
17. ბოგდანოვკის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
18. ბოლნისის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
19. ბორჯომის რაიონი	25	40	40	40	40	23,0
20. გარდაბნის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
21. გეგეჭკორის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
22. გორის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
23. გურჯაანის რაიონი	25	40	40	40	40	88,9
24. დმანისის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
25. დუშეთის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
26. ვანის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
27. ზესტაფონის რაიონი	25	40	40	40	40	21,3
28. ზუგდიდის რაიონი	25	40	40	40	40	40,9
29. თეთრწყაროს რაიონი	25	40	40	40	40	20,7
30. თელავის რაიონი	25	40	40	40	40	51,5
31. თერჯოლის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
32. თიანეთის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
33. კასპის რაიონი	25	40	40	40	40	72,5
34. კაჩრეთის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
35. ლაგოდეხის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
36. ლანჩხუთის რაიონი	25	40	40	40	40	71,5
37. ლენტეხის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
38. მაიაკოვსკის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
39. მარნეულის რაიონი	25	40	40	40	40	74,7
40. მახარაძის რაიონი	25	40	40	40	40	17,3
41. მესტიის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
42. მცხეთის რაიონი	25	40	40	40	40	91,7
43. ონის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
44. ორჯონიკიძის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
45. საგარეჯოს რაიონი	25	40	40	40	40	20,7
46. სამტრედიის რაიონი	25	40	40	40	40	9,3
47. საჩხერის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
48. სიღნაღის რაიონი	25	40	40	40	40	76,6
49. ტყიბულის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
50. ქარელის რაიონი	25	40	40	40	40	58,4
51. ქლუტორის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
52. ქუთაისის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
53. ყაზბეგის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
54. ყვარლის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
55. ჩოხატაურის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
56. ჩხოროწყუს რაიონი	25	40	40	40	40	20,7
57. ცაგერის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
58. ცხაკაიის რაიონი	25	40	40	40	40	35,9

ეროვნული ბიბლიოთეკა

	ანარიცხების პროცენტები					
	მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან	სასოფლო სამეურნეო გადასახადიდან	სოფრა ლეგოლო, ფეშორო, ბარტიანლია და ტკიბულ-ოფლიანან მოქალაქეთა გადასახადიდან	მოსახლეობაში ხელის მიწერილი გაერთიანებული სახელმწიფო სესხის თანხიდან	ბრუნვის გადასახადიდან
59. წალენჯიხის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
60. წალკის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
61. წითელწყაროს რაიონი	25	40	40	40	40	20,7
62. წულუკიძის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
63. წყალტუბოს რაიონი	25	40	40	40	40	20,7
64. ჭიათურის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
65. ხაშურის რაიონი	25	40	40	40	40	55,9
66. ხობის რაიონი	25	40	40	40	40	20,7

8. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში: შემოსავლის ნაწილში 2.901.925 ათასი მანეთი, გასავლის ნაწილში 2.654.710 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 247.215 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 19 აგვისტო.

72. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1952 წლის 13 დეკემბრისა — „აჭარის ასსრ-ის შუახევის რაიონის შექმნის შესახებ“.

1952 წლის 13 დეკემბრისა — „აფხაზეთის ასსრ-ის ახალი ათონის რაიონის შექმნის შესახებ“.

1953 წლის 16 აპრილისა — „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თბილისის და ქუთაისის ოლქების ლიკვიდაციის შესახებ“.

1953 წლის 29 მაისისა — „საქართველოს სსრ ზემოსვანეთის რაიონის გადარქმევის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1953 წლის 29 მაისისა — „საქართველოს სსრ ქვემოსვანეთის რაიონის გადარქმევის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 19 აგვისტო.

73. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. პარტიის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით, რაც მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობაზე შეტანილი იქნას შესაბამისი (ცვლილებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 139 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 139. მშრომელთა ინტერესების შესაბამისად და ხალხის მასების ორგანიზაციული თვითმოქმედებისა და პოლიტიკური აქტივობის განვითარების მიზნით, საქართველოს სსრ მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია უფლება გაერთიანებისა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში: პროფესიულ კავშირში, კოოპერაციულ გაერთიანებაში, ახალგაზრდობის ორგანიზაციაში, სასპორტო და თავდაცვის ორგანიზაციაში, კულტურულ, ტექნიკურ და სამეცნიერო საზოგადოებაში, ხოლო ყველაზე აქტიური და შეგნებული მოქალაქენი მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის რიგებიდან ნებაყოფლობით ერთიანდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, რომელიც მშრომელთა მოწინავე რაზმია მათს ბრძოლაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის და წარმოადგენს მშრომელთა ყველა, როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელ ბირთვს“.

2. შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 16 აპრილის ბრძანებულებისა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თბილისის და ქუთაისის ოლქების ლიკვიდაციის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1953 წლის 23 აპრილის ბრძანებულებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტიდან ამოღებული იქნეს ის მუხლები და სიტყვები, რომლებიც შეტანილი იყო საქართველოს სსრ შემადგენლობაში თბილისის და ქუთაისის ოლქების შექმნასთან დაკავშირებით.

ა) გაუქმდეს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 85-ა; 90-ა; 101-ა და 104-ა მუხლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საქართველოს სსრ კონსტიტუციის 14 მუხლის „ე“ და „კ“ პუნქტი, მუხლი 19, 36 მუხლის „ე“ პუნქტი, 48 მუხლის „დ“ პუნქტი, მუხლები 49, 84, 85, 88, 102, 103, 105, 106, 107, 122, 128 გამოიხატოს შემდეგნაირად:

„მუხლი 14. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თავისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით:...

ე) აწესებს რაიონებისა, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების საზღვრებს და ქმნის ახალ რაიონულ, სასოფლო სადაბო და საქალაქო საბჭოებს; ამტკიცებს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებს ახალი სასოფლო, სადაბო, საქალაქო, საბჭოების, მსხვილ ქალაქებში რაიონულ საბჭოების შექმნისა და მათი საზღვრების შეცვლის შესახებ.

კ) ხელმძღვანელობს აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ის და აჭარის ავტონომიური სსრ-ის ბიუჯეტებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების და ქალაქების ადგილობრივი ბიუჯეტების განხორციელებას“.

„მუხლი 19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება:

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან, აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, კასპის, კაპრეთის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მახარაძის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის, ქლუხორის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხაშურის, ხობის რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის, გორის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისის, ჭიათურისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

„მუხლი 36. საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი:...

ე) აუქმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ავტონომიური რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებებსა და განკარგულებებს, თუ ისინი კანონს არ შეესაბამებიან“.

„მუხლი 48. საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭო:...

დ) წარმართავს და ამოწმებს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობას, ხელმძღვანელობს და ამოწმებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობას“:...

„მუხლი 49. საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი და აგრეთვე შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებანი და განკარგულებანი და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს საქართველოს სსრ-ის მინისტრთა ბრძანებები და ინსტრუქციები".

„მუხლი 84. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რაიონებსა, ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში არიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოები".

„მუხლი 85. მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო, დიდი ქალაქების რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოებს ირჩევენ შესაბამისად რაიონის, ქალაქის, დაბის და სოფლის მშრომელები ორი წლის ვადით".

„მუხლი 88. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოები აირჩევიან ნორმით: ერთი დეპუტატი 100 მცხოვრებზე; იმ სოფლებსა და დაბებში, სადაც მოსახლეობა 1000 კაცამდეა, ირჩევენ 9 დეპუტატს, ხოლო სადაც მოსახლეობა 3500 აღემატება,— არაუმეტეს 35 დეპუტატისა.

საარჩევნო ნორმებს მშრომელთა დეპუტატების თვითეული რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებისათვის აწესებს" დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ" იმ საარჩევნო ნორმების ფარგლებში, რომლებიც აღნიშნულია 86,87 მუხლებში და ამა მუხლში".

„მუხლი 102. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები ქმნიან აღმასრულებელი კომიტეტების სოფლის მეურნეობის და დამზადებათა სამმართველოს და შემდეგ განყოფილებებს:

განათლებისა;

ვაჭრობისა;

კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;

კულტურისა;

საგეგმოს;

საგზაოს;

საერთოს;

საფინანსოს;

სოციალური უზრუნველყოფისა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;

და, გარდა ამისა, რაიონის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს, ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დამტკიცებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები ქმნიან ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას".

„მუხლი 103. რაიონის პირობების შესაბამისად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ის კანონების საფუძველზე საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დამტკიცებით, საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ჰქმნის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებთან თავის განყოფილებებს“.

„მუხლი 105. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი და სამმართველო თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე საქართველოს სსრ-ის სათანადო სამინისტროს, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ავტონომიურ რესპუბლიკის სათანადო სამინისტროს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებას ან სამმართველოს“.

„მუხლი 106. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებანი და სამმართველო თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან, როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებას ან სამმართველოს და აგრეთვე საქართველოს სსრ-ის სათანადო სამინისტროს, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ავტონომიური რესპუბლიკის სათანადო სამინისტროს ან ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებას ან სამმართველოს“.

„მუხლი 107. თბილისის, გორის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთისა და ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებანი და სამმართველო თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან, როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სსრ-ის სათანადო სამინისტროებს“.

„მუხლი 122. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს ირჩევს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო ხუთი წლის ვადით“.

„მუხლი 128. საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთის ასსრ-ის და აჭარის ასსრ-ის პროკურორებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორს ნიშნავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ხუთი წლის ვადით.

გ) 89 და 95 მუხლების ტექსტიდან ამოღებული იქნას სიტყვა „ოლქის“.

93, 96, 101, 116 და 147 მუხლების ტექსტიდან ამოღებული იქნას სიტყვა „საოლქო“.

117 მუხლის ტექსტიდან ამოღებული იქნას სიტყვები „საოლქო სასამართლოები“.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გარდაქმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის სამინისტროდ, შეტანილ იქნას ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 56 მუხლის ტექსტში.

„მუხლი 50. საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს ქმნის საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები; საქართველოს სსრ მინისტრები: ადგილობრივი მრეწველობისა; განათლებისა; ვაჭრობისა; თავდაცვისა; იუსტიციისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა; კულტურისა; მსუბუქი და კვების მრეწველობისა; საგარეო საქმეთა; საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობისა; სტყეო და ქაღალდის მრეწველობისა; საშენ მასალათა მრეწველობისა; სახელმწიფო კონტროლისა; სოფლის მეურნეობის და დამზადებათა; სოციალური უზრუნველყოფისა; ფინანსთა; შინაგან საქმეთა; ჯანმრთელობის დაცვისა; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე".

„მუხლი 56. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ადგილობრივი მრეწველობისა; განათლებისა; კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა; საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობისა; სოციალური უზრუნველყოფისა".

4. სამინისტროების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებების გარდაქმნასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს შესაფერისი ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 72, 81, 104 მუხლის ტექსტში, და ეს მუხლები გამოიხატოს შემდეგნაირად:

„მუხლი 72. ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ქმნის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

მინისტრები:

ადგილობრივი მრეწველობისა;

განათლებისა;

ვაჭრობისა;

იუსტიციისა;

კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;

კულტურისა;

სოფლის მეურნეობის და დამზადებათა;

სოციალური უზრუნველყოფისა;

ფინანსთა;

შინაგან საქმეთა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

და, გარდა ამისა, რესპუბლიკის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დამტკიცებით

მინისტრები:

მსუბუქი და კვების მრეწველობისა;

სტყეო და ქაღალდის მრეწველობისა".

„მუხლი 81. სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ქმნის შემდეგ განყოფილებებს:

განათლებისა;

ვაჭრობისა;

კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურისა;
საგზაოს;
საერთოს;
საფინანსოს;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
საგეგმო კომისიას;
კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;

და, გარდა ამისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობენ სამმართველოები:

ადგილობრივი მრეწველობისა;
იუსტიციისა;
სოფლის მეურნეობის და დამზადებათა;
შინაგან საქმეთა სამინისტროსი".

„მუხლი 104. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები ქმნიან აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგ განყოფილებებს:

განათლებისა;
ვაჭრობისა;
კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;
კულტურისა;
საგეგმოს;
საგზაოს;
საერთოს;
საფინანსოს;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;

და, გარდა ამისა, ქალაქის მრეწველობის და საგარეუბნო მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას და სოფლის მეურნეობის და დამზადებათა სამმართველოს".

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ შემადგენლობაში ახალი რაიონების შექმნასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს შესაფერისი ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 20 და 21 მუხლების ტექსტში, და აღნიშნული მუხლები გამოიხატოს შემდეგნაირად;

„მუხლი 20. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება ახალი ათონის, გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონებისაგან და ქალაქების: სოხუმისა და ტყვარჩელისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან":

„მუხლი 21. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება ბათუმის, ქედის, ქობულეთის, შუახევის, და ხულოს რაიონებისაგან და ქალაქ ბათუმისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 19 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

74. „სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების“ 7 მუხლის ცვლილების თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 12 თებერვლის ბრძანებულება „სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების 7 მუხლის ცვლილების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 19 აგვისტო.

75. „სასამართლოში შეტანილი სისხლის სამართლის საქმეების წარმართვის წესის შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 3 იანვრის დადგენილების 4 მუხლის ცვლილების თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 12 თებერვლის ბრძანებულება „სასამართლოში შეტანილი სისხლის სამართლის საქმეების წარმართვის წესის შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 3 იანვრის დადგენილების 4 მუხლის ცვლილებისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 19 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

76. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. გ. დეკანოზოვისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის ა. ნ. რაფავას მოხსნის თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი: 1953 წლის 10 ივლისისა, რომლითაც მოხსნილია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან დეკანოზოვი ვლადიმერ გიორგის-ძე და 1953 წლის 17 ივლისისა, რომლითაც მოხსნილია საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის თანამდებობიდან რაფავა აქვსენტი ნარიკის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 19 აგვისტო.

77. საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც დანიშნული არიან:

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად—ინაური ალექსი ნიკოლოზის-ძე;

საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის მინისტრად—დავითაშვილი თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 19 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

78. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრობის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრობის მოვალეობისაგან:

1. ბასილაია ისიდორე სესიას-ძე
2. კალმახელიძე ლუკა ივანეს-ძე
3. ოდიშვილი ისიდორე სიმონის-ძე
4. ცანავა გრიგოლ დიმიტრის-ძე
5. ჭარხალაშვილი მარიამ ევგენის ასული
6. ხანთაძე დომენიკა გრიგოლის ასული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 19 აგვისტო.

79. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრებად:

1. აბაკელია ბორის ნესტორის-ძე
2. ბაღათურია დავით ისიდორეს-ძე
3. ბუბაშვილი ტარასი სევერიანის-ძე
4. გვათუა იპოლიტე ტარიელის-ძე
5. გოგაშვილი იოსებ ვასილის-ძე
6. ვართაპეტოვი აშოთ ნიკიტას-ძე
7. თოდუა პართენ კონსტანტინეს-ძე
8. კაპანაძე უშანგი თეიმურაზის-ძე
9. მახათაძე ლევან ერასტის-ძე
10. ნატროშვილი სიდონია ისაკის ასული
11. ღუღუნიშვილი ალექსანდრე არსენის-ძე
12. ყურაშვილი ვახტანგი არსენის-ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ცაბოლოვა ელისაბედ პავლეს ასული
14. ჯაფარიძე ანასტასია მიხეილის ასული
15. ჯაფარიძე სიმონ ალექსანდრეს-ძე
16. ჯაჯანაშვილი თეიმურაზ ესტატეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 19 აგვისტო.

80. ლ. პ. ბერიასათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებათა ჩამორთმევის თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

იმის გამო, რომ გამოაშკარავებულია ლ. პ. ბერიას დანაშაულებრივი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება, რომლის მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულება ლ. პ. ბერიასათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებათა ჩამორთმევის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 19 აგვისტო.

81. ამხ. ნ. ა. ჯავახიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და მისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლდეს ამხ. ნინო ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან თანახმად მისი თხოვნისა და არჩეულ იქნას იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 19 აგვისტო.

82. ამხ. თ. ნ. ქვლივიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად არჩევისა და მისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად ამხ. თამარ ნიკოლოზის ასული ქვლივიძე და განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მაგიერ **ი. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 19 აგვისტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

83. ბრძანებულება საქართველოს სსრ მედიცინის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება:

1. არშბას სოკრატ იაკობის-ძეს — აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ ქირურგს.
2. აივაზიშვილს რევაზ ალექსანდრეს-ძეს — სიღნაღის რაიონის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ალშიბაიას კალისტრატე მარკოზის-ძეს — ზუგდიდის რაიონის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს.

4. ბაისოგოლოვს დავით გრიგოლის-ძეს — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმთრელობის დაცვის განყოფილების პირველი ტუბერკულიოზური დისპანსერის მთავარ ექიმს.

5. გამრეკელს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური სამკურნალო-სანატორიული სამმართველოს პოლიკლინიკის ექიმს.

6. გიგინეიშვილს მიხეილ კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილების გამგეს.

7. გუნთაშვილს მურად ჰუსეინის-ძეს — აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქობულეთის რაიონის სამშობიაროო სახლის მთავარ ექიმს.

8. ისაკაძეს ეკატერინე მელიტონის ასულს — კაჭრეთის რაიონის სოფელ კაკაბეთის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

9. კაკაუბერს ონიფანტე ალექსის-ძეს — ცხაკაიას რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების რაიონულ პედიატრს.

10. კოლიუჟნაიას ქსენია ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური სამკურნალო-სანატორული სამმართველოს საავადმყოფოს ექიმ-ლაბორანტს.

11, კლიმიაშვილს ოქროპირ ნიკოლოზის-ძეს — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მე-13 პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.

12. ლომდარიძეს ალექსანდრე გიორგის-ძეს — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მთავარ თერაპევტს.

13. მაღრაძეს ვახტანგ კორნელის-ძეს — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ქალაქის პირველი საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს.

14. მაკალათიას თამარ ანტონის ასულს — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების პირველი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.

15. მამფორიას იოსებ ამბერკის-ძეს — სამტრედიის რაიონის საავადმყოფოს ქირურგს.

16. მაჭარაშვილს მიხეილ ალექსანდრეს-ძეს — ქალაქ გორის კანისა და ვენერიულ სნეულებათა დისპანსერის მთავარ ექიმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. სანაკოევს მარიამ სერგის ასულს — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ჯავის რაიონის საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

18. სუროვცევს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკს.

19. ხუსკივაძეს ვიქტორ ნიკიფორეს-ძეს — ექიმ-პენსიონერს.

20. ცხომელიძეს ბორის ონისიმეს-ძეს — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მთავარ ექიმ-ექსპერტს.

21. ჩიკვაიძეს ნიკოლოზ მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს უროლოგიური განყოფილების ექიმს.

22. ჩხეიძე ნიკოლოზ ნესტორის-ძეს — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ობჩის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

23. ჩომახიძე ნადეჟდა გიორგის ასულს — წალკის რაიონის საავადმყოფოს ქირურგს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 18 აგვისტო.

84. ბრძანებულება ამხ. მ. ვ. თოფურიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად

დანიშნოს ამხ. მიხეილ ესტატეს-ძე თოფურიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 18 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

85. ბრძანებულება ლ. პ. ბერიასათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებათა ჩამორთმევის შესახებ

იმის გამო, რომ გამოაშკარავებულია ლ. პ. ბერიას დანაშაულებრივი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება, რომლის მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ჩამოერთვას ლ. პ. ბერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 18 აგვისტო.

86. ბრძანებულება ა. ნ. რაფავასათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებათა ჩამორთმევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

იმის გამო, რომ ა. ნ. რაფავამ არ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა და მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ჩამოერთვას მას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 18 აგვისტო.

87. ბრძანებულება შ. ო. წერეთლისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებათა ჩამორთმევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

იმის გამო, რომ შ. ო. წერეთელმა არ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა და მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ჩამოერთვას მას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 18 აგვისტო.